სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

ხელშეკრულება №90

13.03.2015 წ.

ქ. ბათუმი

ერთის მხვრივ, შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება" (მის: ი/უ ქობ: პოპოვის №7 ს/კ 246952524 წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯუმბერ ჭყონიას სახით (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხვრივ, შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი" (მის: ქ. ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის №13 ს/კ 245445200) წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა დუმბაძის სახით, (შემდგომში „შემსრულებელი") სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,შემსრულებელი" თანახმაა დამკვეთს გაუწიოს სახელმწიფო შესყიდვების CPV50100000 – (სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) მომსახურება, ხოლო ,,დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ანგარიშსწორების ფორმა გადახდა და ვადები

2.1 მომსახურების საერთო ფასი შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.

2.2. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

2.3. შემსრულებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში.

3. მომსახურების მიწოდების ადგილი

3.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის 13.

3.2. მომსახურების გაწევა დამკვეთისთვის უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 13 მარტიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. დაკვეთი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს შემსრულებლისგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

4.2. ,,დამკვეთი" ვალდებულია უზრუნველყოს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

4.3. ,,შემსრულებელი" უფლებამოსილია მოთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს დამკვეთს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება ნაკლის მქონე აღმოჩნდება 5 (ხუთი) დღის ვადაში, აღმოფხვრას ნაკლი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს დამკვეთის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

5.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

5.3. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირება) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.01 %.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი და არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე 2015 წლის 13 მარტიდან და მოქმედებს მასში მოცემული პირობების მხარეთა მიერ სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში შესრულებამდე, 2016 წლის 31 იანვრამდე.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ქართულენოვან ეგზემპლარად. ყოველ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება“	შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი“
მის: ქ. ქობულეთი პოპოვის 7	მის: ქ. ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის 13
ს/კ 246952524	ს/კ 245445200
სს ლიბერთი ბანკი	სს ვითიბი ბანკი ჯორჯია
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE35LB0113116913381000	ა/ა GE40VT5500000000013407
დირექტორი	დირექტორი
ჯუმბერ ჭყონია	პაატა დუმბაძე